2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგეხსენებათ, ცენტრის თანამშრომლები განაწილებულია მუნიციპალიტეტის ოთხ (კუნძული, ცენტრი, ნაბადა, მალთაყვა) უბანში და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებიდან გამომდინარე ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2023 წლის განმავლობაში ა(ა)იპ სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხილულია ფოთის მუნიციპალიტეტის მერიიდან, საკრებულოდან, მოსახლეობიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან უბნებში შემოსული 5413 განცხადება და წერილი. აქედან, კუნძულის უბანში - 1788, ცენტრის უბანში - 1270, მალთაყვის უბანში - 1420 და ნაბადის უბანში - 935. განცხადებების ძირითადი ნაწილი შემოსულია მედიკამენტოზური მკურნალობისათვის წამლის ვაუჩერის გაცემის შუამდგომლობით - 1445, მატერიალური და სხვა სოციალური დახმარების საკითხებთან დაკავშირებით - 1253, სტაციონარული დახმარების აღმოჩენის თხოვნით - 1269.

ჩვენს მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე მერის წარმომადგენლის მიერ მოქალაქეებზე გაცემულია სულ 1440 ცნობა და 3971 დასკვნა. აქედან, კუნძულის უბნიდან -1291, ცენტრიდან -1270, მალთაყვიდან -1420, ნაბადიდან -1430 (სულ -5411).

2023 წლის განმავლობაში უპოვართა სასადილოს უფასო კვებით სარგებლობდა 360 ბენეფიციარი. მათგან მზა საკვების შინმიტანის სერვისით სარგებლობს - 95 ბენეფიციარი, ხოლო შინმოვლის პროგრამით - 37 ბენეფიციარი.

ასევე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე მეორადი მოხმარების ტანსაცმელების (1891 ფუთა), საკვები პროდუქტების (2199 ნობათი), საწვავი შეშის (205 ოჯახზე) დარიგებაში.

ცენტრის თანამშრომლები ასრულებენ წესდებით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეჭირვებული მოქალაქეებისათვის შეშით მომარაგების, მეორადი მოხმარების ტანსაცმელებისა და პროდუქტებით დარიგების ღონისძიებებში. მერიის წარმომადგენლებთან ერთად სისტემატიურ მონიტორინგს უწევდნენ ქალაქში მიმდინარე კეთილმოწყობის (ქუჩების დაგრეიდერება, ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი კორპუსების სარემონტო, არხების გაწმენდა და სხვა) სამუშაოებს. სისტემატიურად ახდენდნენ სამუშაოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლეობასთან შეხვედრებს, მათი პრობლემების აღრიცხვას და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლისათვის წარდგენას. დადგენილი წესებით პერიოდულად ასრულებდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ცალკეულ შუამდგომლობებს, მათთვის აუცილებელ მიმდინარე საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით, როგორიცაა: სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა–ნაგებობებში უნებართვოდ მცხოვრებ პირთა აღრიცხვა, წვევამდელთა რაოდენობის დადგენა, ქალაქში არსებული დაწესებულებების, სამრეწველო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების აღრიცხვა, გარდაცვლილთა აღრიცხვა, ახალშობილთა რაოდენობის დაზუსტება, სისტემატიურად ახდენდენ ჩვენი სამსახურის მიერ შექმნილი ყოვლისმომცველი ბაზის მონაცემთა განახლებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარებას, დაუძლურებულ და ლოგინსმიჯაჭვული ბენეფიციარების სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური

მომსახურების პროგრამების მომზადებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთა უფასო კვებით უზრუნველყოფას, სადაც გათვალისწინებულია მარტოხელა, დაუძლურებული და შშმ პირთა კვებით მომსახურება და საკვების შინ მიტანა და სხვა. ასევე ჩვენი სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მერიის ინიციატივით ჩატარებულ დასუფთავების აქციებში სხვადასხვა კულტურულ, საქველმოქმედო და სადღესასწაულო ღონისძიებებში. დადგენილ ვადებში ასრულებდნენ ხელმძღვანელობის დავალებებს.